

ფინანსური და საოპერაციო ანგარიში

წლიური მაჩვენებლები
2020 წ., 2021 წ. და 2022 წ.

大成 DENTONS

შპს დენტონს საქართველო

მელიქიშვილის ქ. #10
თბილისი 0179
საქართველო

ტ: +995 32 2509 300
tbilisi@dentons.com

ზოგადი მიმოხილვა და ინფორმაცია

კომპანია და საქმიანობა

შპს დენტონს საქართველო (შემდგომში „კომპანია“) არის იურიდიული კომპანია, რომლის საქმიანობას წარმოადგენს იურიდიულ/სამართლებრივი კონსულტაციებისა და კვლევების გაწევა, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის.

კომპანიის საქმიანობა მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს/სფეროებს:

- კორპორატიული/საბანკო/საფინანსო სამართალი;
- სასამართლო დავები;
- კონკურენციის სამართალი
- შრომითი სამართალი;
- უძრავი ქონება/სამშენებლო სექტორი;
- ენერგეტიკა;
- ინტელექტუალური საკუთრება;
- საგადასახადო/საბაჟო სამართალი;
- და ა.შ.;

სრული სახელწოდება: შპს დენტონს საქართველო
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი: 405187710
მუშაობის დაწყების თარიღი: 2017 წლის მაისი
დღგ-ს გადამხდელი: კი

საკადრო ინფორმაცია

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში დასაქმებულთა 100% წარმოადგენს უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებს და მოცემული თარიღისთვის მათ აქვთ უვადო შრომითი ხელშეკრულებები. თანამშრომელთა რაოდენობა 2020 წლის ბოლოს იყო 18 ადამიანი - (61% ქალი; 39% კაცი) ხოლო 2021 წლის ბოლოს 17 ადამიანი - (65% ქალი; 35% კაცი), დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

	2022 წ.			2021 წ.	2020 წ.
	ქალი	კაცი	სულ	სულ	სულ
მენეჯმენტი	0	2	2	2	2
იურისტები	6	2	8	9	10
ადმინისტრაცია	4	2	6	6	6
სულ:	10	6	16	17	18



ფინანსური უწყისები

საბალანსო უწყისი

თანხა: ლარი	კომენტარი	2022 წ. 31 დეკემბერი	2021 წ. 31 დეკემბერი	2020 წ. 31 დეკემბერი
აქტივები		2,894,250	4,744,466	3,327,824
ფული და ფულის ეკვივალენტები	BS-01	1,359,192	2,497,858	1,538,236
სავაჭრო მოთხოვნები	BS-02	1,503,652	2,190,028	1,684,008
გადახდილი ავანსები	BS-03	5,504	9,265	30,127
ძირითადი საშუალებები	BS-04	25,902	47,315	75,453
ვალდებულებები		41,143	632,175	40,645
სავაჭრო ვალდებულებები	BS-05	27,780	601,647	27,158
საგადასახადო ვალდებულებები		2,056	3,041	292
გამოუმუშავებელი შემოსავალი	BS-06	11,307	27,487	13,195
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		0	0	0
საკუთარი კაპიტალი	BS-07	2,853,107	4,112,291	3,287,179
საწესდებო კაპიტალი		1,000	1,000	1,000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		4,111,291	3,286,179	4,464,087
განაწილებული დივიდენდი		-748,772	-400,454	-2,299,352
მიმდინარე პერიოდის მოგება / ზარალი		-510,412	1,225,566	1,121,444

საბალანსო უწყისის კომენტარები

BS-01: ფული და ფულის ეკვივალენტი -

კომპანია ოპერირებს მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორების გზით და ფულადი სახსრების ბრუნვის 100% მოდის საბანკო ოპერაციებზე. კომპანიას ანგარიშ(ებ)ი აქვს გახსნილი მხოლოდ ერთ ბანკში (სს თიბის ბანკში), სადაც ფლობს ანგარიშებს შემდეგ ვალუტებში: ლარი, დოლარი, ევრო და ფუნტი. სხვა ისეთი მაღალ ლიკვიდური აქტივები, როგორიცაა აქცია, ობლიგაცია, და ა.შ. - კომპანიას არ გააჩნია. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთები შესაბამის ვალუტაში:

2022 წ. 31 დეკემბერი	ბალანსი ვალუტაში	ეკვივალენტი ლარში
ფულის ნაშთი - ლარი	95,943	95,943
ფულის ნაშთი - აშშ დოლარი	319,681	863,779
ფულის ნაშთი - ევრო	124,464	359,004
ფულის ნაშთი - ფუნტი	12,420	40,466
		1,359,192



BS-02: სავაჭრო მოთხოვნები -

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები იყოფა ორ ძირითად ნაწილად: ა). დენტონსის მიერ გამოუმუშავებული მომსახურების თანხები და ბ). დიელეი პაიპერისაგან აქტივების მიწოდებით წარმოშობილი სავაჭრო მოთხოვნები, დეტალები წარმოდგენილია ცხრილში:

2022 წ. 31 დეკემბერი	ლარი
დენტონსი	1,149,370
დიელეი პაიპერი	354,282
	1,503,652

BS-03: გადახდილი ავანსები -

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი დღგ (დამატებული ღირებულების გადასახადი).

BS-04: ძირითადი საშუალებები -

კომპანიას ძირითადი საშუალებები იყოფა ხუთ ძირითად ჯგუფად. ამორტიზაციის დარიცხვას კომპანია ახორციელებს წრფივი მეთოდით, დეტალები წარმოდგენილია ცხრილში:

2022 წ. 31 დეკემბერი	ამორტიზ. ნორმა (%)	შეძენის ღირებულება	აკუმულირებული ამორტიზაცია	საბალანსო ღირებულება
სატრანსპორტო საშუალება	20%	6,456	(6,456)	-
ავეჯი	20%	27,348	(25,404)	1,944
კომპიუტერები	20%	93,228	(80,731)	12,497
აიტი მოწყობილობები	20%	18,886	(18,378)	508
ოფისის აღჭურვილობა	15%	19,050	(8,097)	10,953
		164,968	(139,066)	25,902



BS-05: სავაჭრო ვალდებულებები -

2022 წლის ბოლოს ნაშთი, 27 ათასი ლარი, არის მიმდინარე ვალდებულებების ნაწილი, სადაც 21 ათასი ლარი შეადგენს ოფისის იჯარასთან დაკავშირებულ თანხებს და სხვადასხვა მიმდინარე წვრილ საოპერაციო ვალდებულებებს.

BS-06: გამოუმუშავებელი შემოსავალი -

აღნიშნული მუხლი მოიცავს 5 კლიენტის მიერ ავანსად გადახდილ თანხებს.

BS-07: საკუთარი კაპიტალი -

2021 წელი კომპანიამ დახურა პოზიტიური სუფთა მოგებით, რამაც შეადგინა 1,225,566 ლარი, საიდანაც 2022 წელს დივიდენდის სახით დამფუძნებლებზე გაცემულ იქნა 748,772 ლარი, ხოლო 2022 წელს კომპანიის ზარალმა შეადგინა 510,412 ლარი. რაც შეეხება საწყის საწესდებო კაპიტალს, მისი ოდენობა შეადგენს 1,000 ლარს, დეტალები წარმოდგენილია ცხრილში:

2022 წ. 31 დეკემბერი	ლარი
საწესდებო კაპიტალი	1,000
გაუნაწილებელი მოგება	4,111,291
განაწილებული დივიდენდი	(748,772)
მიმდინარე პერიოდის მოგება / ზარალი	(510,412)
	2,853,107



მოგება-ზარალის უწყისი

თანხა: ლარი		კომენტარი	2022 წ. 31 დეკემბერი	2021 წ. 31 დეკემბერი	2020 წ. 31 დეკემბერი
შემოსავლები			3,546,490	5,280,149	4,436,943
გაწეული მომსახურება	PL-01		3,546,490	5,280,149	4,436,943
საოპერაციო ხარჯები			-4,056,902	-4,054,583	-3,315,499
დასაქმებულთა ანაზღაურება			-2,742,915	-2,880,474	-2,727,296
ცვეთა და ამორტიზაცია			-24,688	-32,377	-31,771
საპროცენტო ხარჯი			0	0	0
იჯარის ხარჯი	PL-02		-216,033	-227,195	-198,364
სხვა ადმინ. და საოპერაციო ხარჯი	PL-03		-1,073,266	-914,537	-358,068
საოპერაციო მოგება			-510,412	1,225,566	1,121,444
სხვა შემოსავლები და ხარჯები			0	0	0
სხვა შემოსავლები / ხარჯები			0	0	0
მოგების გადასახადი			0	0	0
სუფთა მოგება / ზარალი			-510,412	1,225,566	1,121,444



მოგება-ზარალის უწყისის კომენტარები

PL-01: შემოსავლები გაწეული მომსახურებიდან -

აღნიშნული მუხლი მოიცავს მხოლოდ კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან (იურიდიული კონსულტაციებიდან) გამომდინარე შემოსავალს. კომპანიის შემოსავლების სტრუქტურა იყოფა ორ ძირითად ნაწილად: ა) დღ-ით დასაბეგრი ბრუნვა; და ბ). დღ-საგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული ბრუნვა - საიდანაც უმეტესი ნაწილი (56%) მიეკუთვნება დღ-საგან ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას, დეტალები წარმოდგენილია ცხრილში:

2022 წ. 31 დეკემბერი	პროცენტული თანაფარდობა	შემოსავალი ლარში
დღ-ით დასაბეგრი	44%	1,560,456
დღ-საგან გათავისუფლებული	56%	1,986,034
		3,546,490

PL-02: იჯარის ხარჯი -

კომპანიას იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი (ჯამში 453.10 კვ. მ.) და 1 მ2-ში იხდის 16 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში (დღ-ს ჩათვლით).



PL-03: სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები -

დეტალები წარმოდგენილია ცხრილში:

თანხა: ლარი	2022 წ. 31 დეკემბერი
კლიენტის ხარჯები	101,905
მივლინება	30,260
ტრენინგი/კონფერენცია	150
DES ხარჯები	663,172
საწევრო	10,630
კომუნალური	11,124
ბანკის მომსახურება	6,737
საკანცელარიო	2,218
ოფისის მოვლა-დასუფთავება	22,027
ჟურნალ-გაზეთები	6,426
საკომუნიკაციო ხარჯი	31,813
ტრანსპორტირების ხარჯი	18,149
IT ხარჯები	51,746
დაზღვევა	48,449
საკურიერო მომსახურება	6,347
გადასახადები	31,902
წარმომადგენლობითი ხარჯები	2,568
კონვერტაცია	2,907
პერსონალზე გაწეული ხარჯები	16,935
სხვა ხარჯები	7,801
	1,073,266



ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

თანხა: ლარი	2022 წ. 31 დეკემბერი	2021 წ. 31 დეკემბერი	2020 წ. 31 დეკემბერი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-386,619	1,364,315	910,479
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-3,275	-4,239	-544
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-748,772	-400,454	-2,318,364
წმინდა ზრდა (კლება)	-1,138,666	959,622	-1,408,429
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	2,497,858	1,538,236	2,946,665
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,359,192	2,497,858	1,538,236

ანგარიშგება შედგენილია
კომპანიის ფინანსური დირექტორის
ლ. პაიჭაძის მიერ


